



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 8 ნოემბერი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 4 დეკემბერი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო საქმე
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში (020401)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა ბახტაძე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ომაძე, სს საქართველოს ბანკი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი მიხელიძე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საბანკო საქმე“ მიზანია დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით უზრუნველყოს საფინანსო-საკრედიტო დარგის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი საბანკო საქმეში.

სასწავლო უნივერსიტეტში საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან (ბრძ. N01-01/30 23.05.2012). სსიპ-ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 15 ოქტომბრის №153 გადაწყვეტილებით შპს გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 18 იანვრის №16 გადაწყვეტილებით შპს გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს, ასევე, პროგრამის გადამუშავების პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინებით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „საბანკო საქმე“ საგრძნობი ცვლილებები განხორციელდა. დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. კერძოდ, ამოღებულ, ასევე დამატებულ იქნა სპეციალობის გარკვეული სასწავლო კურსები, მოდიფიცირდა სასწავლო კურსების სახელწოდებები, ცვლილებები შეეხო ასევე, ცალკეული სასწავლო კურსის სტატუსებს.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECST-ის 120 კრედიტის დაგროვებას. საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 3 მოდულისაგან და გულისხმობს სასწავლო კურსების დაყოფას შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით. მათ შორის: სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების მოდული მოიცავს 30 კრედიტს; სავალდებულო სასწავლო კურსებს 20 კრედიტის ოდენობით და არჩევით სასწავლო კურსებს 10 კრედიტის მოცულობით; სპეციალობის სასწავლო კურსების მოდული წარმოდგენილია 50 კრედიტით, მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები 46 კრედიტით, არჩევითი სასწავლო კურსები 4

კრედიტით. კვლევითი მოდული (40 კრედიტი) აერთიანებს პროფესიული პრაქტიკას (10 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება/დაცვას (30 კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი საბანკო საქმეში – Master of Business Administration in Banking - და ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიშნულის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES -ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 8 ნოემბერს. 7 ნოემბერს, ექსპერტთა ჯგუფის შეკრებაზე (ლელა ბახტაძე (თავმჯდომარე), ქრისტინე ომაძე (წევრი), ანი მიხელიძე (წევრი), განხილულ იქნა თვითშეფასების ანგარიში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განისაზღვრა ძირითად საკითხთა წრე, რომელთან დაკავშირებითაც დაისვა შეკითხვები ვიზიტის განხორციელებისას.

ა. წ. 8 ნოემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10:20 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის შესაბამისად, შედგა შეხვედრა-გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესების მართვისა და მეცნიერების სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი), თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან. ვიზიტის გრაფიკის შესაბამისად, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. გაგრძელდა შეხვედრა სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან, დამსაქმებელთან და სტაჟირების განმახორციელებელთან. გადაიხედა სამაგისტრო ნაშრომები. შედგა შეხვედრა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. სამუშაო შეხვედრა წარიმართა საქმიან გარემოში, აკადემიურად, კონტრუქციულად, კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის ფონზე.

ვიზიტის მსვლელობისას სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დროულად და სრულად წარმოადგინეს დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ვიზიტის დასასრულს ექპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მოკლედ გააცნო ჯგუფის მთავარი მიგნებები.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საბანკო საქმე“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას შესაბამისი დოკუმენტაციისა და ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტებთან. კერძოდ:

სტანდარტი 1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2 მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სიცოცხლისუნარიანია, უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ჰყავს სტუდენტები, კურსდამთავრებულები, რომელთა უმეტესი ნაწილი პროფილის მიხედვითაა დასაქმებული. პროგრამა შემდგომ განვითარებაზეა ორიენტირებული.

ჩვენი აზრით, სასწავლო კურსის სილაბუსებში: „ფინანსური რისკების მართვა“, „კორპორაციათა ფინანსები და პორტფელის მართვა“, „საბანკო-სავალუტო ოპერაციები“, სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში მოითხოვს განახლებას.

მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემის შესაბამისად გამოყენებულ იქნეს უფრო მეტი მრავალფეროვანი ლიტერატურა და უახლესი კვლევები.

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდეს საერთაშორისო მობილობებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა აქტიურად ჩართვა.

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა, სასურველია არჩევითი სასწავლო კურსის სახით შეთავაზებულ იქნეს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი.

სასურველია საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტებისთვის შეტანილ იქნეს საბანკო სფეროს სიმულაციური თამაშები, რაც განავითარებს მათ პრაქტიკულ გამოცდილებას საბანკო საქმის სასწავლო კურსების სწავლის გაღრმავების მიმართულებით.

სასურველია სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემის შესაბამისად გამოყენებულ იქნეს უფრო მრავალფეროვანი ლიტერატურა და უახლესი კვლევები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გააქტიურდეს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების სარგებლობასთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

▪ რეკომენდაციები

სასწავლო კურსის სილაბუსებში: „ფინანსური რისკების მართვა“, „კორპორაციათა ფინანსები და პორტფელის მართვა“, „საბანკო-სავალუტო ოპერაციები“, სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში მოითხოვს განახლებას.

მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემის შესაბამისად გამოყენებულ იქნეს უფრო მეტი მრავალფეროვანი ლიტერატურა და უახლესი კვლევები.

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდეს საერთაშორისო მობილობებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა აქტიურად ჩართვა.

დაიგეგმოს აქტივობები სტუდენტებსა და პედაგოგებში ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა, მიზანშეწონილია არჩევითი სასწავლო კურსის სახით შეთავაზებულ იქნეს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი.

სასურველია საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტებისთვის შეტანილ იქნეს საბანკო სფეროს სიმულაციური თამაშები, რაც განავითარებს მათ პრაქტიკულ გამოცდილებას საბანკო საქმის სასწავლო კურსების სწავლის გაღრმავების მიმართულებით.

სასურველია სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემის შესაბამისად გამოყენებულ იქნეს უფრო მრავალფეროვანი ლიტერატურა და უახლესი კვლევები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გააქტიურდეს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების სარგებლობასთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (გთსუ-ს) საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით 2018 წლის 05 ოქტომბერს განხორციელებული აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის ვიზიტის საფუძველზე გაკეთებული დასკვნისა და 2019 წლის 18 იანვრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N5 სხდომის ოქმის საფუძველზე გაკეთებული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე შეიქმნა პროგრამის განმავითარებელი მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელმაც იმუშავა გარე შეფასების საფუძველზე, საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის დახვეწასა და რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. შესაბამისად, საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- პროგრამაში აკრედიტაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად შეიცვალა ცხრილი, რომლითაც თვალსაჩინოა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების თავსებადობა და შესაბამისობა.
- ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მიზნით პროგრამაში შეიცვალა კურიკულუმის რუკა, რომელიც თვალსაჩინოდ აღწერს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით აღწერილ სწავლის შედეგებთან.
- საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლითაც შესაძლებელია სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვა კონკრეტული სასწავლო კურსით.
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების თვალსაჩინოების მიზნით სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსში შეტანილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია.

- მენეჯმენტის ფართო, ანალიტიკური და ინტეგრირებული სწავლების კუთხით, პროგრამაში შემოვიდა ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: სტრატეგიული მენეჯმენტი; პროექტების მართვა; პერსონალის სტრატეგიული მართვა; ბიზნეს პროცესების მართვა; ლიდერობა და განვითარება;
- განხორციელდა ცვლილებები პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში);
- კრედიტების მეტი სიზუსტით განაწილების კუთხით გადაიხდა კრედიტების განაწილების სისტემა და მოხდა სასწავლო კურსებზე კრედიტების მოდიფიცირება;
- კრედიტების ოპტიმალური განაწილების საფუძველზე მოხდა პროგრამაში აკრედიტაციის რეკომენდაციებით შემოთავაზებული აუცილებელი სასწავლო კურსების პროგრამაში ჩართვა;
- გადაიხდა და დაზუსტდა სასწავლო კურსებში ძირითადი და სასწავლო ლიტერატურა;
- განხორციელდა სასწავლო კურსების წინაპირობების კორექტირება;
- სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი 13 შედეგამდე შემცირდა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ფორმულირებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად პერმანენტულად მიმდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის

კონკურენტუნარიანი საბანკო და საფინანსო-საკრედიტო დარგის სპეციალისტი. პროგრამის მიზანი შეესაბამება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ფასეულობებს, მიზნებსა ამოცანებს და ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე. პროგრამის მოქნილი სტრუქტურა მიზნად ისახავს როგორც სტუდენტის მობილობის ხელშეწყობას საქართველოში არსებულ

უნივერსიტეტებში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ასევე დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებისათვის მათ მომზადებას. პროგრამა სტუდენტს აძლევს: საკრედიტო-საბანკო სისტემის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანების განსაზღვრის და მათი გადაწყვეტის, საბანკო ურთიერთობათა სფეროში სამართლებრივი რეგულირების ძირითად ასპექტებზე სიღრმისეულ ცოდნას; გამოუმუშავებს გლობალურ ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესების სიღრმისეული ანალიზის, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანი სტრატეგიების განსაზღვრის უნარ-ჩვევებს; ბიზნესის ღირებულებების მართვის მეთოდოლოგიის სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე წარმართავს კომერციულ ბანკებში აღრიცხვის, კონტროლის და აუდიტირების პროცესს. უყალიბებს კვლევითი სამუშაოს შესრულებაში მონაწილეობის, სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზის, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დაგეგმვის, სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის მოძიების და სამეცნიერო ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევებს; უყალიბებს საკუთარი სწავლის პროცესის მართვის და ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობის და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარს; კოლეგებთან ურთიერთობაში ეთიკის პრინციპების დაცვის, მულტიკულტურულ ფასეულობათა პატივისცემის და სხვადასხვა ქვეყნების მორალური, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების გაცნობიერების და საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებში მათი დაცვის უნარს. პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხის გაძლიერებაზე, რაც ჩანს პროგრამაზე მიღების წინაპირობებში (ინგლისური ენის B2 დონე).

პროგრამის მიზანი ნათლადაა ფორმულირებული, მასში ასახულია თუ რა ცოდნისა და უნარების განვითარებაზეა პროგრამა ორიენტირებული, პროგრამის მიზანი ასევე ხაზს უსვამს პროგრამის კურსდამთავრებულთა უნარს გამოიყენონ მიღებული ცოდნა არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო დონეზე. აღნიშნულის განხორციელებას გარკვეულწილად ხელს უწყობს პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნის განსაზღვრა.

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სწავლების/შეფასების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას დასახული მიზნების განსახორციელებლად გააჩნია ყველა საჭირო წინაპირობა: ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური/მოწვეული პერსონალი, დასაქმების საბანკო, საფინანსო-საკრედიტო სფეროს წარმომადგენლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამა ამზადებს მაგისტრანტს დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის. საგანმანათლებლო

პროგრამის მიზნები რეალისტური, მიღწევადი, საჯარო და ხელმისაწვდომია გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით: www.gtuni.edu.ge; უნივერსიტეტში ვიზიტისას დადასტურდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა მხარის მიერ პროგრამის მიზნის გაზიარება.

საგანმანათლებლო პროგრამის „საბანკო საქმე“ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ძირითადი ვექტორი მიმართულია ზოგადად საერთაშორისო და რეალურად (ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული) ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადი სტანდარტისა და შესადარი საგანმანათლებლო პროგრამების, კერძოდ, ერთობლივი საგანმანათლებლო კურსების, ასევე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის აკადემიური მობილობის პირობების შექმნაზე; თანამედროვე სწავლების ტექნოლოგიების, ლიტერატურის დანერგვა-გამოყენებაზე; სტუდენტთა დამატებითი განათლების და პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოცდილი მეცნიერებისა და ექსპერტების მოწვევაზე, მასტერ-კლასების, ტრენინგების, სემინარების ორგანიზებაზე, აკადემიური პერსონალის ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის გაფართოვებაზე, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად და იმფაქტ ფაქტორის რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების მაჩვენებლების ზრდაზე. ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებებში გაწევრიანებაზე.

ამასთან, Erasmus+ და სხვა გაცვლით პროექტებში მონაწილეობისა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი: კლაიპედას უნივერსიტეტთან (ლიტვა); პეშის უნივერსიტეტთან (უნგრეთი), ბარანოვიჩის უნივერსიტეტთან (ბელორუსია).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
- უნივერსიტეტის და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისიები.
- უნივერსიტეტის და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმები.
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი.
- შრომის ბაზრის კვლევა.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმი
- თანამშრომლობა პარტნიორ უნივერსიტეტებთან:
 1. ინჰოლანდის უნივერსიტეტის ჰარლემის ეკონომიკის სკოლა (ნიდერლანდები)-მემორანდუმი
 2. ვენდსპლისის (ლატვია) უნივერსიტეტი

○ საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად და იმფაქტ ფაქტორის რეიტინგულ ჟურნალებში გამოცემები ○ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების წევრობა ○ აკადემიური პერსონალის ტრენინგები/ სტაჟირებები/ მივლინებები ○ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.gtuni.edu.ge
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთვრებულებს ცოდნის დონის და უნარების რეალიზაციის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი უსასყიდლოდ უზრუნველყოფს დარგთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი და რეალისტურია, აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციას, რომელსაც მაგისტრი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები დეტალურადაა აღწერილი მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკით. სწავლის შედეგები შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირების საბანკო საქმის მაგისტრის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები უზრუნველყოფს სტუდენტთა დასაქმებას და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით დაყვანილ იქნა 13 შედეგზე. შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. თითოეულ შედეგს აქვს შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მექანიზმი. ამასთან, განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. პროგრამაში წარმოდგენილია შედეგების რუკა.

სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან: პროგრამით მისაღწევი ცოდნისა და უნარების ფლობა უზრუნველყოფს პროგრამის განსაზღვრული კვალიფიციური საბანკო საქმის სპეციალისტის მომზადებას, რაც გულისხმობს, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს (რაც ასევე დასტურდება სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისად, დასაქმების მაღალი მაჩვენებლით (კურსდამთავრებულთა 70%).

პროგრამით დასახული სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები მიღწევადი და გაზომვადია. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში აღწერილია შეფასების მეთოდები, ინდიკატორები იმ მიზნით, რომ განსაზღვროს მიღწეულია თუ არა თითოეული სწავლის შედეგი.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული აფილირებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის მიერ.

აღნიშნული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში - ხარისხის მიღების შემდგომ, მაგისტრს საქმიანობა შეუძლია განახორციელოს ბიზნესისა და ეკონომიკის როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება - საფინანსო საბანკო სექტორი. მაგისტრი შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საქართველოს ეროვნულ ბანკში, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებში, მიკროსაფინანსო და საშუამავლო საფინანსო, სადაზღვევო ორგანიზაციებში, აუდიტორულ კომპანიებში. მაგისტრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საწარმოთა და მათ ქვედანაყოფთა ფინანსური რესურსების, სასესხო, საინვესტიციო და სასტარტო კაპიტალის მართვაში, ასევე კომპანიის საკრედიტო-სასესხო სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში.

პროგრამის შედეგების კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან შესაბამისობას ცხადყოფს გთუნი-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე ჩატარებული საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომლითაც ირკვევა, რომ 2014-2018 წლების პერიოდში გამოკითხულ მაგისტრთაგან უმუშალოდ საბანკო სექტორში დასაქმებულია - 54 პროცენტი, 2016-2017 წლებში კი, შესაბამისად, 63 და 67 პროცენტი.

წარმოდგენილი ანგარიშების, ოქმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების

(სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი, დამსაქმებლები) ჩართულობა.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების ეფექტიანი შეფასების მექანიზმი. მაგისტრანტი სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა, ხდება აკადემიური მოსწრების ანალიზით, რომელიც ხორციელდება პროგრამის და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებისა და პროცენტული განაწილების დინამიკის გაანალიზების საფუძველზე.

2018 წელს განხორციელებული პროგრამული აკრედიტაციის პროცესის შედეგად ექსპერტთა დასკვნითა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გამოთქმული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით, ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით განხორციელდა საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტისა და მასში შემავალი ქვესტანდარტების პირობების დაკმაყოფილების მიზნით. შესაბამისად, „საბანკო საქმე“ სამაგისტრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს მოწონების შემდეგ, დამტკიცებულ იქნა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მიერ.

სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების გაცნობას უზრუნველყოფენ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორ-მასწავლებლები უშუალოდ საკონტაქტო საათებზე, რა დროსაც მაგისტრანტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო კურსის არა მარტო შედეგების, არამედ მათი მიღწევის მეთოდებისა და აკადემიური მოთხოვნების შესახებ.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, დეკანატი აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს სამაგისტრო პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების, ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ქმედებების განხორციელების თაობაზე;

სწავლის შედეგების შესახებ ინფორმირება ხორციელდება სტუდენტთა ინფორმირებისა და შეფასების მაჩვენებელთა ელექტრონული ბაზის გამოყენებით, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას წინასწარ იცოდეს/გააცნობიეროს თითოეული სასწავლო კურსის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობები და მის მისაღწევათ საჭირო ფორმები დამეთოდები.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. მაგისტრანტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დგინდება აკადემიური მოსწრების ანალიზით, კერძოდ, პროგრამის და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებითა და პროცენტული განაწილების დინამიკის შესწავლით. აკადემიური მოსწრების ანალიზით დგინდება, რამდენად რთული ან მარტივია სასწავლო კურსის პროგრამა, რამდენად მართებულადაა შერჩეული შესასწავლი თემები, შეფასების რამდენად ადეკვატური ფორმებია გამოყენებული ლექტორების მიერ და რამდენად მაღალია მაგისტრანტთა მომზადების დონე. აკადემიური მოსწრების ანალიზისთვის გამოიყენება ნორმალური განაწილების ე.წ. „გაუსის“ განაწილება).

წარმოდგენილი ანგარიშების, ოქმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი, დამსაქმებლები) ჩართულობა.

პროგრამის ფარგლებში ხდება სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება. პროგრამას თან ერთვის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და ამასთანავე, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი. აკადემიური მოსწრების ანალიზის დროს უნივერსიტეტი სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრავს შედეგების ნორმალურ განაწილებას. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი მოიცავს პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომენტარებისა და რეკომენდაციების ანალიზის

საფუძველზე გამოვლენილ პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ რეკომენდაციებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ (სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და ა.შ.), წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად დასტურდება სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული მხარეებისა და ასევე, სწავლის შედეგების მიღწევის გაანალიზების პროცესში გამოვლენილი რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება და შესრულება.

ამასთან, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგების სტუდენტთა შეფასების შედეგებთან შედარება ლექტორს პროცესების ობიექტურად წარმართვის მოტივაციას აძლევს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი ინდიკატორია აგრეთვე სწავლის შედეგების რუკა, რაც პროგრამის და სასწავლო კურსების/მოდულების სწავლის შედეგების ურთიერთშედარების საშუალებას იძლევა. კურიკულუმის რუკა, ნათლად წარმოაჩენს აჩვენებს რომელი კურსით/კურსებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

გთსუ-ს დიდაქტიკური მისია დიდ როლს ანიჭებს სასწავლო პროცესის უკუკავშირის კომპონენტს. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა ვალდებულია მიიჩნევს თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომების დამკვიდრებას, რაც ხელს უწყობს ცალკეული სასწავლო კურსის და მთლიანად სასწავლო პროცესის არსის და მნიშვნელობის გააზრებას, კერძოდ: ხარისხს, რომელიც სჭირდება სტუდენტს; განათლების პროცესის უწყვეტობას; განვითარებადი და განახლებადი ცოდნის დაგროვება-გადაცემას; კრეატიული პროფესორების/პედაგოგების ყოველმხრივ ხელშეწყობასა და დამკვიდრებას; სტუდენტის/მაგისტრანტის მოთხოვნილებებზე, მოტივაციის, წახალისების და საჭიროებებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო საქმიანობას; პიროვნების თვითაქტუალიზაციასა და თვითრეალიზაციაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო საქმიანობას.

მაგისტრანტი სრულყოფილად იღებს შესაბამის სასწავლო კურსში საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ ინფორმაციას და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პროფესორთან შეთანხმებით განსაზღვრავს სწავლის შედეგების გაუმჯობესების გზებს. სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევაში წარმოქმნილი სირთულეების/პრობლემის და აძლევს გზების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ახდენს ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხუს-ი, სპეციალისტები და სტუდენტთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაზე პასუხისმგებელი პირი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები. დინამიკაში დაკვირვების შემდეგ თუ გამოვლინდა რეგრესი (სამიზნე ნიშნულებთან შედარებისას) ხდება სწავლის შედეგების და მიღწევის გზების გადახედვა და შესაბამისად პროგრამის მოდიფიცირება არსებული

რეგულაციების გათვალისწინებით. სასურველია პერიოდული შეფასების შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარება; საბანკო სექტორში მოხმარებადი ელექტრონული პროგრამის/საგნის სწავლება; პროგრამის სწავლის

შედეგების მიღწევის შესაფასებლად და ხარისხის გაუმჯობესებისათვის პროგრამისა და სასწავლო პროცესის სისტემატიური მონიტორინგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები (იხ. პროგრამაში); ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (იხ. პროგრამაში); ○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანალიზი და შედეგები;
○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პროგრამის განმავითარებელი ჯგუფისა და ფაკულტეტის საბჭოს ოქმები); ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ „გთუნი-ს დიდაქტიკური კონცეფცია“. ○ გამოკითხვის შედეგები; ○ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.gtuni.edu.ge
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პერიოდული შეფასების შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარება; • საბანკო სექტორში მოხმარებადი ელექტრონული პროგრამის/საგნის სწავლება; • პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად და ხარისხის გაუმჯობესებისათვის პროგრამისა და სასწავლო პროცესის სისტემატიური მონიტორინგი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების მიზნით უნივერსიტეტის ტრენინგ ცენტრსა და სამეცნიერო კონსალტინგურ ცენტრ „მომავლის მენეჯერი (SCC-MF)“ შორის გათვლილი გაფორმებული მემრანდუმის ფარგლებში კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით ჩატარდა ტრენინგები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა და ასევე ყველა დაინტერესებული პირებისათვის თანამედროვე მენეჯმენტსა და პრაქტიკული მარკეტინგის კურსებში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

გთსუ-ს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდების (B ტესტი) საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობაა:

- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში;
- უცხო ენის შესაბამის (B2) დონეზე ცოდნის დადასტურება სერტიფიკატით ან გამოცდით.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაეცნონ თანამედროვე ინგლისურენოვან ლიტერატურასა და შესაბამისად, გაიზიარონ საერთაშორისო ცოდნა და გამოცდილება.

სპეციალობაში გამოცდის დაწესება გარკვეულწილად უზრუნველყოფს განსხვავებული დარგის სპეციალისტების მიერ საბანკო საქმის საბაზისო ცოდნის დაუფლებას, რაც მათ დაეხმარება პროგრამით დასახული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა ინტერვიუების დროს დაადასტურა პროგრამის დაძლევის უნარის მქონე სტუდენტების დაშვება პროგრამაზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა;

გთსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები);

პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის ოქმი;

ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით:

www.gtuni.edu.ge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სპეციალობაში გამოცდის დაწესება გარკვეულწილად უზრუნველყოფს განსხვავებული დარგის სპეციალისტების მიერ საბანკო საქმის საბაზისო ცოდნის დაუფლებას, რაც მათ დაეხმარება პროგრამით დასახული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გთსსუ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლითაც: საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდება სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამულ მიმართულებაზე/კათედრაზე. პროგრამის შემუშავების ან გადამუშავების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნივერსიტეტში იქმნება პროგრამის შემუშავებისა და გადამუშავების მუდმივმოქმედი ჯგუფი.

„საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS-ის) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი ეფუძნება მოდულების მიხედვით სწავლების პრინციპებს და მიმართულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოდულებისა და სასწავლო კურსების არჩევითობისა და სწავლების პროცესის ინდივიდუალიზაციის საფუძველზე ცოდნის შემოქმედებითი შეძენისა და თვითგანათლების დონის ამაღლებისაკენ.

საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 3 მოდულისაგან და გულისხმობს სასწავლო კურსების დაყოფას შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების მოდული (30 კრედიტი) სასწავლო კურსების დაუფლების უმთავრესი მიზანია გლობალური ბიზნესისა და საფინანსო-ეკონომიკური ძირითადი მიმართულებებისა და კონცეფციების სიღრმისეული შესწავლა, აღნიშნული სპეციალობის მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროში თანამედროვე მიღწევათა სიღრმისეული ანალიზის ტექნოლოგიის დაუფლება, დარგობრივი უნარების სიღრმისეული დაუფლება, ერუდიციის გაფართოება, კრიტიკული ანალიზის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამოუკიდებლად დადგენის უნარის შეძენა, დამოუკიდებელი სიღრმისეული შეფასებებისა და განხილვების უნარის ჩამოყალიბება.

სპეციალობის მოდული - მოდულისთვის განკუთვნილი 50 კრედიტი, რომელიც შედგება სავალდებულო (46 კრედიტი) და არჩევითი 4 კრედიტი) სასწავლო კურსებისაგან.

სპეციალობის მოდულს სტუდენტები გადიან სწავლების მეორე წელს საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში. მოდულის სასწავლო კურსების შესწავლის მიზანია დასაუფლებელი სპეციალობის გარშემო სიღრმისეული ცოდნის შეძენა-გაფართოება, მის საზღვრებში კონკრეტული სფეროს სიღრმისეული გაცნობა და პროფესიული კარიერის განვითარებისათვის საჭირო უნარ-ჩვევათა განვითარება. სპეციალობის მოდულის გავლა განაპირობებს დარგობრივ კომპეტენციებს დამოუკიდებლად განხორციელების უნარებს სპეციალობაში.

კვლევითი მოდული - 40 კრედიტი ეთმობა პროფესიულ პრაქტიკასა(10) და სამაგისტრო ნაშრომს(30).

პროფესიული პრაქტიკა სამაგისტრო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია პროფესიული პრაქტიკა, სადაც მაგისტრანტი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გარდა გამოიმუშავებს, კონკრეტულ სამაგისტრო პრობლემის სიღრმისეულ კვლევასთან დაკავშირებულ უნარებს (იხ. პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი). პროფესიულ პრაქტიკას მაგისტრანტები გაივლიან იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს

ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომლებიც ოფიციალურად ადასტურებს კონკრეტულ მაგისტრანტზე პრაქტიკის გავლისათვის მზადყოფნას; ასევე სტუდენტმა პრაქტიკა შეიძლება გაიაროს თავის სამუშაო ადგილზე, თუ იგი მუშაობს სპეციალობის მიხედვით; პრაქტიკის დასრულების შემდეგ, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს პრაქტიკის ანგარიში შესაბამის კათედრაზე და მოხდეს მისი საჯარო დაცვა. ამ კომპონენტში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 10 კრედიტი.

სამაგისტრო ნაშრომი – სამაგისტრო პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომით, რომლის შედეგების მიხედვით სტუდენტს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. სამაგისტრო ნაშრომისათვის განკუთვნილია 30 კრედიტი. მასალების გაცნობა-მოპოვებას მაგისტრანტი ახორციელებს პრაქტიკის ობიექტზე. ხელმძღვანელთან ერთად შემუშავებული გეგმის მიხედვით, ამუშავებს სათანადო ლიტერატურას და გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება მეორე აკადემიური წლის ბოლოს.

პროგრამის სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების კომბინაციის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის ყოველი დისციპლინა განისაზღვრება კურსის ტიპით (ლექცია; სემინარი; სავარჯიშო; პრაქტიკული თუ ლაბორატორიული სამუშაო; ინდივიდუალური სწავლა ხელმძღვანელის მეთვალყურეობით; კონსულტაცია; დამოუკიდებელი მეცადინეობა; პროფესიული პრაქტიკა; ლექცია-სემინარიების ჩატარება და ა.შ.), სასწავლო საქმიანობის ტიპით (ლექციებზე დასწრება; სპეციალური დავალებების შესრულება; ტექნიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება; ესეების, რეფერატების, საკურსო ნაშრომის წერა; წიგნებისა და სტატიების კითხვა; სხვისი ნაშრომების კონსტრუქციული კრიტიკის სწავლა; შეხვედრების გაძღოლა; და ა.შ.) და შეფასების ტიპით (ზეპირი და/ან წერიტი გამოცდა; პრეზენტაცია; ტესტი; კვლევითი მოხსენება; კვლევითი ნაშრომის დაცვა; უწყვეტი შეფასება და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ არჩევითი სასწავლო კურსების გადანიშნულება სემესტრების მიხედვით სტუდენტებს შეუძლიათ თავიანთი სურვილისამებრ, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად.

სასწავლო კურსის სილაბუსები: „ფინანსური რისკების მართვა“, „კორპორაციათა ფინანსები და პორტფელის მართვა“, „საბანკო-სავალუტო ოპერაციები“, სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში მოითხოვს განახლებას.

შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა „საბანკო საქმის“ სპეციალობის ადეკვატურია. სასურველია სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემის შესაბამისად გამოყენებულ ლიტერატურას დაემატოს უახლესი კვლევებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა.
- საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები

○ „საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები ○ ბაზრის კვლევის და გამოკითხვის შედეგები ○ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით: www.gtuni.edu.ge
რეკომენდაციები: სასწავლო კურსის სილაბუსები: „ფინანსური რისკების მართვა“, „კორპორაციათა ფინანსები და პორტფელის მართვა“, „საბანკო-სავალუტო ოპერაციები“, სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში მოითხოვს განახლებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემის შესაბამისად გამოყენებული ლიტერატურას დაემატოს უახლესი კვლევებიც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ძირითადი სპეციალობის და საგანმანათლებლო პროგრამაში გაერთიანებულებია ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების მოდულში.

კურსის შინაარსი და მიზნები შესაბამისობაშია აკადემიურ მოთხოვნებთან და შრომის ბაზრის მოლოდინებთან. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურთან. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; სწავლა/სწავლების მეთოდები, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები და სხვა. პროგრამის შემადგენელი კომპონენტების კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ლოგიკურ ბმაშია ამავე კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული ძირითადი და დამხმარე და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა ბეჭდური და ელექტრონული ვერსიებით, უახლესი კვლევის შედეგები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტის დატვირთვის შემოწმების ფორმა ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობას, ასევე საკონტაქტო საათების რაოდენობა, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვ.) რამდენად შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სალექციო კურსები და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული მასალები განათავსებულია სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე შიდა ქსელში ორგანიზებულ ელექტრონული სწავლების სისტემის - Moodle პორტალზე. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი სილაბუსები; ბაზრის კვლევის და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ტრანსფერული უნარების განვითარება და

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გთხოვს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამა სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, ითვალისწინებს უზრუნველყოს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავება. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკის შეფასების კომპონენტები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში. პროფესიული პრაქტიკის მოცულობა 10 კრედიტია და ხორციელდება იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. პრაქტიკის გავლის შემდეგ სტუდენტი წარმოადგენს პრაქტიკის ანგარიშს შესაბამის კათედრაზე საჯარო დაცვისთვის. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა ვიზიტისას წარმოადგინა: შპს აუდიტორული კომპანია „ალტერ-ეგო“-ს, შპს აუდიტორული ფირმა „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“-ს, შპს აუდიტორული კომპანია „ლაზონა“-ს და „საქართველოს ბანკების ასოციაცია“-სთან გაფორმებული მემორანდუმები. კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილი სასწავლო კურსი: „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება. კვლევების ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, დასაქმების ფორუმები, მუშავდება ბიზნეს პროექტები, რომელიც სტუდენტებს გამოუმუშავებს შრომის ბაზარზე ადაპტაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს და ხელს უწყობს მათი შემოქმედებით აქტივობის ამაღლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2012-2018 წლებში განხორციელებული პროფესიული პრაქტიკის მაჩვენებლები
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია
- პრაქტიკის განმახორციელებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი
- მაგისტრატურის დებულება
- გაფორმებული მემორანდუმები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გთსსუ-ს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მიზნად ისახავს კომპეტენციების გამომუშავებას და არა მზა ცოდნის მიღებას. სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება სტუდენტს აქცევს სწავლების რეალურ სუბიექტად.

გთსსუ-ში სწავლების შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისათვის, ცოდნის გადაცემა წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, პრაქტიკული სწავლება, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ. სწავლება სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა კონკრეტული მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. სწავლება სწავლის და კვლევის პროცესში მეთოდები და აქტივობები ერთმანეთს ავსებენ. პროფესორი შეიძლება იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამოდენიმე მეთოდს ან ნემისმიერ სხვა მეთოდს და აქტივობას კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები და აქტივობები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. გთსსუ-ში შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლითაც: მაგისტრანტთა განსხვავებული მოთხოვნებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება აერთიანებს სასწავლო პროცესის ინდივიდუალურად წარმართვის საკითხებს, კერძოდ: დროის დაგეგმვას; კურსის განხორციელების თავისებურებებს; შეფასების ადეკვატურობას; შეფასების პერიოდულობას; კონსულტირების ვადებს; უწყისების ფორმებს და სხვ. გთსსუ-ში მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი. სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამასთან, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს

კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებიც ატვირთულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. შესაბამისად, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. სტუდენტს აქვს შედეგების შეფასების აპელაციის შესაძლებლობა. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელები ახორციელებენ შეფასების შედეგების ანალიზს, რათა მისი შედეგები გამოიყენონ სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით გთსუ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა იწყება ინფორმაციის მოგროვებით სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებულ ყველა საგანში ან რომელიმე კონკრეტულ საგანში/საგნებში სსსმ სტუდენტის საჭიროების შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს. ფაკულტეტების დონეზე გამოიყოფა პირი, რომლისგანაც სსსმ სტუდენტი მიიღებს სხვადასხვა სახის პრაქტიკულ მხარდაჭერას, რაც მოიცავს გამოცდების დროს მხარდაჭერას, კურიკულუმების ადაპტირებას, მოხალისეობრივ მხარდაჭერას. გთსუ-ს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება გრძელვადიანი მიზნის, მოკლევადიანი მიზნისა და შესაბამისი აქტივობების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გთსუ-ს დიდაქტიკური კონცეფცია
- „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- გთსუ-ს სწავლება-სწავლის მეთოდები
- სსსმ პირისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური გეგმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
„საბანკო საქმის“ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება გთსსუ-ს მიერ დადგენილი წესის მიხედვით. შეფასების პროცედურა გამჭვირვალეა სტუდენტებისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია. შეფასების სტრუქტურა მრავალკომპონენტურია და მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას. სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, საიდანაც 60 ქულა ეთმობა მიმდინარე და შუალედურ შეფასებას, ხოლო 40 ქულა დასკვნით გამოცდას. შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. მიღებული შეფასების უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს აქვს მისი გასაჩივრების შესაძლებლობა. გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტები კარგად იცნობენ შეფასების სისტემას და მათ შეფასების ობიექტურობიდან გამომდინარე, არ დასჭირვებიათ მიღებული შეფასების გასაჩივრება.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადი დასკვნითი შეფასებით კომისიური წესით და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1. პრეზენტაციის სტრუქტურა და ტექნოლოგია (10 ქულა); 2. ნაშრომის შინაარსი (30 ქულა); 3. აუდიტორიასთან კონტაქტი (15 ქულა); 4. გამოყენებული მასალა და მისი წარმოდგენა (20 ქულა); 5. კითხვებზე პასუხი, დისკუსია (25 ქულა). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამაგისტრო ნაშრომები შესრულებულია სხვადასხვა აკადემიური სტილით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ შეფასების მხოლოდ 30% მოდის ნაშრომის შინაარსზე. შეფასების სისტემა გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა გააზრებული და ლოგიკურად არის სტრუქტურირებული. ასახავს საბანკო საქმისა და ფინანსების სწავლების თანამედროვე საერთაშორისო კონცეფციებსა და ტენდენციებს.
- პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე (და არა პროფესორზე) და ხორციელდება განმავითარებელი სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი და თანამედროვე მეთოდების, მულტიმედია საშუალებების, ელექტრონული სისტემის – Moodle გამოყენებით;
- პროგრამა/კურსები აგებულია შეფასების სისტემის სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მოთხოვნების დაცვით, დეტალურადაა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, სისტემატურად ხორციელდება უკუკავშირი (როგორც პროგრამის, ისე კურსის დონეზე);
- პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია და მიღწევადია, ექვემდებარება გთსსუ-ში განსაზღვრულ პერიოდულ შეფასებას.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის		√		

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
----------------------------------	--	--	--	--

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც სტუდენტური პორტალის (www.gtu.ini.ge) მეშვეობით, აგრეთვე უნივერსიტეტის ვებგვერდის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და პედაგოგებთან საკონსულტაციო შეხვედრების გზით. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით გოსსუს-ს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული თანამდებობის მქონე პირის ინდივიდუალურ დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. გასაუბრების დროს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტუდენტებმა კმაყოფილება გამოხატეს. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, თუმცა როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს არცერთ მათგანს არ მიუღია გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში, რომლის მიზეზად მათ დასაქმება დაასახელეს. გოსსუს-ს არსებული პროექტებისა და მობილობის შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები სხვადასხვა არხებით იღებენ ინფორმაციებს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტები სხვადასხვა სფეროებიდან არიან წარმოდგენილები გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს, რომ სურვილი ჰქონდათ საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ისწავლებოდეს საბანკო სფეროს სიმულაციური თამაშები, რაც განუვითარებდა მათ პრაქტიკულ გამოცდილებას საბანკო საქმის სასწავლო კურსების სწავლის გაღრმავების მიმართულებით. აღსანიშნავია, ისიც, რომ თვითშეფასების ანგარიშისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე გოსსუს სტუდენტების სერვისის გასაუმჯობესებლად პერიოდულად ატარებს სტუდენტების გამოკითხვას და ითვალისწინებს მათ სურვილებს, რჩევებსა და რეკომენდაციებს.	მტკიცებულებები/ინდიკატორები - o დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები; - o საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები; - o ბაზრის კვლევისა და უნივერსიტეტში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; - o თვითშეფასების ანგარიში; - o ელექტორული მართვის სისტემა; - o გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები	

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამაში შემოღებულ იქნეს საბანკო სიმულაციური თამაშები, რაც განუვითარებდა მათ პრაქტიკულ გამოცდილებას საბანკო საქმის სასწავლო კურსების სწავლის გაღრმავების მიმართულებით. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითშეფასების ანგარიშისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე გთხოვთ სტუდენტების სერვისის გასაუმჯობესებლად პერიოდულად ატარებთ სტუდენტების გამოკითხვას და ითვალისწინებთ მათ სურვილებს, რჩევებსა და რეკომენდაციებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

„საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამაზე აკადემიური/მოწვეული პერსონალის თითოეული წევრის სამუშაო დრო განაწილებულია დატვირთვის ცალკეულ კომპონენტებზე, მათ შორის სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობაზე, რაც ასახულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში. სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას.

აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალი სტუდენტებს მუდმივად აწვდის ინფორმაციას საკონსულტაციო მომსახურების შესახებ, ასევე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული კონსულტაციების ხანგრძლივობასა და დღეების შეახებ, რა დროსაც სასწავლო კურსის განმახორციელებლები, როგორც პირადად შეხვედრებზე, ისე ელექტრონული საშუალებებით უწევენ კონსულტაციებს სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, ასევე სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციებს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, ღონისძიებებში და კვლევებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამასთან, მიზანშეწონილია სტუდენტებს პერიოდულად დაეგზავნოთ ინსტრუქციები ელექტრონული სამეცნიერო ბაზების სარგებლობასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს გოსთსუ-ს-ს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს გოსთსუ-ს რექტორი. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევა ხდება სამაგისტრო პროგრამის მეორე წლის პირველი სემესტრის განმავლობაში. თემის შერჩევა კი ხდება გოსთსუ-ს მიერ მიწოდებული სამაგისტრო თემატიკის გათვალისწინებით ან სტუდენტისა და ხელმძღვანელის

მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე. „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის“ მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება მინიმუმ 5 წევრისგან. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მაგისტრანტის ხელმძღვანელიც. მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესი რეგულირდება „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის“ მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია გოსთსუ-ს ვებ-გვერდზე.

კვლევის განხორციელების ოპტიმალურად დაგეგმვის, წყაროების მოძიების და მათზე მუშაობის, არგუმენტების ჩამოყალიბების, ჩანაწერების გაკეთების, სამუშაო ვარიანტის მომზადება-რედაქტირების, ფაქტების ცხრილებისა და ციფრების სახით წარმოდგენის, შედეგების მკაფიოდ და აკურატულად აღწერის, აკადემიური სტანდარტების დაცვის, ნაშრომებში წყაროების მითითების, სტილისა და ფორმატის უზრუნველსაყოფად სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში დაკონკრეტდეს საერთაშორისოდ აღიარებული რომელი ტიპის აკადემიური სტილით განხორციელდეს (მაგ. ჩიკაგოს სტილი და ა.შ.) სამაგისტრო ნაშრომების შესრულება, გაფორმება და წყაროების მითითება.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2019 წელს განხორციელებული აკრედიტაციის პროცესში გაკეთებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხარისხის ამაღლების და გამოყენებული კვლევის მეთოდების ოპტიმალურ შერჩევას.

პროგრამების განახლება-გადამუშავებაზე მომუშავე მუშა ჯგუფმა შემიმუშავა წინადადებები სამაგისტრო ნაშრომების გარე ექსპერტების მიერ რეცენზირების პრაქტიკის შემოღების, ასევე ნაშრომის შეფასებაში კვლევითი კომპონენტისადმი მოთხოვნის ზრდის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს კვლევის ჩატარებას და კვლევებში გამოყენებული კვლევის მეთოდების ხარისხის ამაღლებას. მიმდინარე პერიოდში წარმოებს სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატის პროგრამაზე გატარება, რის შემდეგაც (გრაფიკის მიხედვით) ხდება მათი გარე რეცენზირებაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: დაიგეგმოს აქტივობები სტუდენტებსა და პედაგოგებში ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 2019 წელს განხორციელებული აკრედიტაციის პროცესში შემოთავაზებული რჩევების გათვალისწინებით სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის დროს სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისათვის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა (SPSS ან STAT). ამასთან, მიზანშეწონილია სტუდენტებს პერიოდულად დაეგზავნოთ ინსტრუქციები ელექტრონული სამეცნიერო ბაზების სარგებლობასთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრამის მოდიფიცირების სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციით გადაწყდა, რომ სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის მომზადება და შერჩევა მოხდება უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობით და მათი ვიზირების გარეშე თემატიკა არ დამტკიცდება. ასევე თუ ფაკულტეტზე წინასწარი მოსმენისას მაინც აღმოჩნდება მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან აცდენილი თემა, ის მოიხსნება დაცვიდან.
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, გთსსუ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასახულია გთსთსუ-ს შინაგანაწესში, ასევე აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესში, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესში, რომელიც სრულ შესაბამისობაშია განათლების სფეროს მოქმედ კანონმდებლობასთან. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ პროგრამის სწავლების თანამედროვე მეთოდებით რეალიზაციისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, სამეცნიერო, პედაგოგიური და დარგში პრაქტიკული გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემული მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები, მათი მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებში, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში (მათ შორის საზღვარგარეთ). საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებას და მის მდგრადობას უზრუნველყოფს 13 პროფესორ-მასწავლებელი. მათ შორის: 5 აფილირებული პროფესორი; 1 პროფესორი; 3 აფილირებული ასოცირებული პროფესორი; 1 აკადემიური პერსონალი ასოცირებული პროფესორი; 3 მოწვეული პროფესორი; (პროგრამის განმახორციელებელ პირთა პროგრამაში ჩართულობა მოცემულია დანართის სახით.)

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს აქვთ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი კვალიფიკაციით, სამეცნიერო ხარისხით, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის და/ან დარგში საბანკო საფინანსო სექტორში პრაქტიკული გამოცდილებით, სამეცნიერო საქმიანობის მაღალი პროდუქტულობით.

პროფესორთა რესურსისა და პოტენციალის მაქსიმალურად, ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მათი პროფესიული ზრდისა და კარიერული წინსვლისთვის გთსთსუ-ში შექმნილია სათანადო პირობები, რაშიც აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის ეფექტიანი განაწილების სქემაც მოიაზრება. აკადემიური პერსონალის დატვირთვა ასახავს საქმიანობის სრულ სპექტრს: სწავლება, სწავლების მეთოდებისა და კურიკულუმის განვითარება, კვლევა, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა, საუნივერსიტეტო მომსახურება, სტუდენტების კონსულტირება, საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობა და სხვ.

პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მათი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით; პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება აღწერილია პროგრამის ხელმძღვანელების CV-ებში, ხოლო კვალიფიკაციის დასადასტურებლად საჭირო პრაქტიკული გამოცდილება და სამეცნიერო

ნაშრომები მოცემულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში, (პროგრამის ხელმძღვანელების CV -ები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლება; ○ დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება და სამეცნიერო ნაშრომები; ○ პროგრამის ხელმძღვანელების CV-ები; ○ ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე გამოქვეყნებულ ნაშრომები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გთსსუ-ის პერსონალის შეფასება სასწავლო უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში. ერთი მხრივ, იგი საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის პერსონალს, შეიმუშაოს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები. მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ თანამშრომლების საქმიანობის რეგულარულ შეფასებას.

გთსსუ-ში შეფასების პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის, შემუშავებულია შეფასების ჯეროვანი კრიტერიუმები და ინდიკატორები. პროფესორის ფუნქციის მრავალფეროვნების გათვალისწინებით შემუშავებულია მულტი-კრიტერიუმების სისტემა, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის საქმიანობის ყველა სფეროს: სწავლებას, სამეცნიერო საქმიანობას, ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივ საქმიანობას და ფასდება შემფასებელი კომისიის მიერ.

აკადემიური პერსონალის ერთ-ერთ ძირითადი მოვალეობაა სასწავლო პროცესში საკუთარი ცოდნის ეფექტური გამოყენება და უახლესი კვლევების შედეგების დანერგვა. სწავლების ფუნქციის წარმატებით განხორციელება ვლინდება კურიკულუმის შემუშავებაში; უმაღლესი აკადემიური განათლების სხვადასხვა საფეხურების სტუდენტთა კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობაში; სასწავლო პროცესში სწავლების ინოვაციური მეთოდების დამუშავებითა და დანერგვით; სტუდენტებისათვის დროული და კვალიფიციური შეფასებებისა და რეკომენდაციების მიწოდებით; სასწავლო პროექტების შემუშავებითა და განხორციელებით და სხვ.

აკადემიური პერსონალის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება წარმოებს შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით:

სტუდენტების გამოკითხვებისა და შეფასებების შედეგებით; სტუდენტთა მიღწევებით შესაბამის აკადემიურ დისციპლინებში; შეფასების კომისიის მიერ პროფესორ-მასწავლებელთა წლიური ანგარიშის შეფასების შედეგებით; აკადემიური პერსონალის თვითშეფასებით; სწავლების დარგში მიღებული წოდებებით ან ჯილდოებით და ა. შ. გთსსუ-ში სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი როლი მდგომარეობს ხარისხიანი სამეცნიერო აქტივობების გამრავალფეროვნება-გაღრმავებაში და მისი შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, გთსსუ-ში განსაზღვრული აქვს სამეცნიერო საქმიანობის სახეები, კერძოდ: პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულებაზე/თემაზე მუშაობა; მონოგრაფიის მომზადება; კოლექტიური მონოგრაფიის მომზადება; სახელმძღვანელოს მომზადება; სამეცნიერო შრომათა კრებულის მომზადება; სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში; სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში და სხვ. სასწავლო-მეთოდური ნაშრომის მომზადება; მოხსენება სამეცნიერო კონფერენციებზე და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში; ეროვნულ, რეგიონულ და/ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმში, სემინარში) მონაწილეობა; სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება (სამეცნიერო სემინარი, მრგვალი მაგიდა, სამეცნიერო-მეთოდური სემინარი, საჯარო ლექცია, ვორკშოპი, გამოფენა, ფესტივალი, მეცნიერის ხსოვნის საღამო სამეცნიერო საზოგადოების დაარსება, სამეცნიერო-თემატური კვირეული და ა.შ. აღნიშნული აქტივობების შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პროფესორის მიერ სამეცნიერო სტატიების, სახელმძღვანელოების, სასწავლო მასალების მომზადება. მოხსენებების წარდგენა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე სიმპოზიუმებსა და სემინარებზე. რეგულარულად ეწყობა ეკონომიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით სამეცნიერო სემინარები, საჯარო ლექციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

გთსსუ-ში ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება ხორციელდება შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით. კერძოდ, პროფესორ-მასწავლებლის წლიური ანგარიშის შეფასებით; პროფესორ-მასწავლებლის თვითშეფასებით; პროფესორ-მასწავლებლის

თვითშეფასებით; პროფესორ-მასწავლებლის თვითშეფასება; კოლეგების, აგრეთვე დამოუკიდებელ მკვლევართა შეფასებებით; პროფესორ-მასწავლებლის თვითშეფასებით; კვლევის დარგში მიღებული წოდებები ან ჯილდოებით; პროფესორ-მასწავლებლების თვითშეფასებით; ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული საქმიანობით და სხვ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

1. უნივერსიტეტში სამსახურებრივ მოვალეობათა კეთილსინდისიერი და სამუშაო შესრულებისათვის გამოყენება წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) მაღლობის გამოცხადება;
- ბ) ფულადი ჯილდო;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

აღნიშნული წახალისების ორი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთდროულად.

1. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში რექტორს პირის წახალისების შესახებ წინადადებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.
2. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის იმართება ტრენინგები, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით;
3. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი უსდ-ს სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით იგზავნება სამუშაო მივლინებებში;
4. ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის გაგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე;
5. გთსსუ სისტემატურად ატარებს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
6. სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობით აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია გაცვლით, საერთაშორისო და/ან არგილობრივ პროექტებში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს “გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი”-ს შენობა-ნაგებობებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები, შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილებზეა გამოკრული ევაკუაციის გეგმები სართულების მიხედვით. დამონტაჟებულია სტენდები და ცეცხლმაქრები; უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები და კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობებითა და ინვენტარით, ცენტრალიზებული გათბობის სისტემით და ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, სადაც სტუდენტებს აქვთ საშუალება სიღრმისეულად შეისწავლონ და გაეცნონ უახლეს ინტერნეტ ტექნოლოგიებს. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით უნივერსიტეტს აქვს შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ყავს შტატით გათვალისწინებული ექიმი. უნივერსიტეტი იძლევა შესაძლებლობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური პანდუსები როგორც უნივერსიტეტის ძირითად კორპუსის აუდიტორიებში გადასადგილებლად, ასევე საბლიოთეკო ტერიტორიაზეც. უნივერსიტეტის გარე ტერიტორიაზე გვხდება კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ დაკავდნენ სპორტული აქტივობებით. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს უფასო უსადენო ინტერნეტ ქსელი (wifi); შპს “გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი”-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის, საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებულია წინა სააკრედიტაციო ვიზიტის რეკომენდაციები, განახლებულია ლიტერატურა ბიბლიოთეკაში, ასევე სასწავლო მასალა უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით.

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით შპს “გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი”-ს მიერ მოწოდებულ იქნა მის საკუთრებაში არსებული შემდეგი მონაცემი:

- 7081.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო ფართობის ნაკვეთი (01.12.14.094.004), N 1 და N3 საერთო ფართით 4682.07 კვ.მ; N2 საერთო ფართით – 434.40 კვ.მ , სხვა ფართი–N5 სპორტული მოედანი. საჯარო რეესტრის ოფიციალური დოკუმენტი წარმოდგენილია და განახლებულია 26/03/2019 მონაცემით . აღნიშნულით დასტურდება რომ ერთპიროვნულ მესაკუთრედ წარმოდგენილია შპს “გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი”, რომელზეც საგადასახადო გირავნობა, იპოთეკა რეგისტრირებული არ არის.

სამაგისტრო პროგრამა სარგებლობს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, რომელსაც სწავლის ხელშემწყობი გარემო და ვრცელი წიგნადი ფონდი გააჩნია. ბიბლიოთეკა

აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით. ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული ფონდი მოიცავს სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების განხორციელებისათვის აუცილებელ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას. ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის სილაბუსების შესაბამისად, შერჩევითი შემოწმების საფუძველზე, დაადასტურა მითითებული ლიტერატურის არსებობა საბიბლიოთეკო ფონდში და დაადგინა, რომ ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზებსა და კაბინეტებში როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. აღსანიშნავია, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მზადყოფნა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის შესაძენად და ფონდის შესავსებად; განხორციელებულია სამეცნიერო ბიბლიოთეკის სრული კომპიუტერული კატალოგიზაცია.

მრავალმხრივ საინტერესოა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს კვირაში 6 დღე, ორშაბათი– პარასკევი, 9.30–21.30 სთ. შაბათი–10.00–15.00 საათამდე. ლიტერატურის ელექტრონული საძიებელი განთავსებულია ვებ-გვერდზე <http://www.gtuni.edu.ge/openbiblio/opac/index.php>

შპს “გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი”-ს ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან და ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლია გამოიყენოს კვლევისა თუ სწავლების მიზნით შესაბამისი ელექტრონული რესურსები. სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან წვდომა EBSCO –ს პაკეტში შემავალი 11 ბაზით :

- 1.Academic Search ELITE
- 2.Business Source ELITE
- 3.MasterFILE ELITE
- 4.Health Source: Consumer Edition
- 5.Health Source: Nursing/Academic
- 6.Newspaper Source
- 7.MEDLINE
- 8.ERIC
- 9.Library and Information Center (LISTA)
- 10.Regional Business News
- 11.GreenFile

მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და ლექტორებისთვის, უნივერსიტეტის სტუდენტები ინფორმირებულები არიან რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. პროგრამა უზრუნველყოფილია იმ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და ინფრასტრუქტურით, რაც აუცილებელია სწავლის შედეგების მისაღწევად. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პერიოდულად ახორციელებს ახალი სასწავლო ლიტერატურის შეძენის პროცესს. ექსპერტების მიერ შერჩევით განხორციელდა სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის დათვალიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საკუთრების უფლება უძრავ ნივთებთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის ამონაწერით ს/კ-01.12.14.094.004
- შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება;
- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსები;
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდი;
- ხელშეკრულება ელექტრონული ბაზებისა და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის შესახებ;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ინტერვიუები სტუდენტებთან;
- უნივერსიტეტი ვებ-გვერდი <http://gttu.edu.ge/>

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამის განხორციელებისთვის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის, საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება, როგორც პროგრამის, ისე გთსსუ-ის ბიუჯეტიდან. პროგრამის ბიუჯეტირება ხორციელდება სტრატეგიული, ერთიანი სამოქმედო გეგმისა და მიმდინარე მოთხოვნების შესაბამისად. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორ მასწავლებლების და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურების, სამეცნიერო კვლევების განხორციელების, საბიბლიოთეკო ფონდის ხარჯების დაფინანსებას.

„საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია შემდეგი მუხლების დაფინანსება:

- აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დანარჩენი ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება;
- ბიუჯეტის სხვა დანარჩენი ხარჯების: სამეცნიერო მივლინებების და აქტივობების დაფინანსება;
- სასწავლო მასალებისა და სასწავლო ლიტერატურის-სახელმძღვანელოების შეძენის ხარჯების დაფინანსება;
- რეკლამის ხარჯების დაფინანსება.

შემდგომში „საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას უმჯობესია შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური ბიუჯეტი, სადაც კონკრეტული

ადმინისტრაციული თანამდებობის და აკადემიური (აფილირებული/აკადემიური/მოწვეული) პერსონალის, ასევე სამეცნიერო კვლევებში ჩართული პირების შრომის ანაზღაურების, სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობის, სამეცნიერო კვლევების ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, სასწავლო მასალების, წიგნადი ფონდების, სტუდენტთა ინიციატივების, ასევე სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის დაფინანსების ხარჯები დეტალურად იქნება გაწერილი. პროგრამის მიზნების მაქსიმალურად რეალიზებისათვის მიზანშეწონილია ისეთი მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც გაზრდის სასწავლებლის ცნობადობას და გამოიწვევს სტუდენტთა კონტინგენტის ზრდას. მიუხედავად უნივერსიტეტის მიერ ამ რეკომენდაციის შესრულებაზე გადადგმული რიგი ნაბიჯისა ჯერჯერობით სამაგისტრო პროგრამის შემოსავლები ვერ ფარავს პროგრამის ხარჯებს და პროგრამის ხარჯების ნაწილი უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან იფარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უდს დაფინანსების წყაროები; • უსდ-ის ბიუჯეტი; • ფაკულტეტის ბიუჯეტი; • პროგრამის ბიუჯეტი; • ინტერვიუები ფაკულტეტის და პროგრამის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები • გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს შემოსავლების ზრდას. • გაძლიერდეს მარკეტინგული თუ ცნობადობის ასამაღლებელი სხვა ღონისძიებები, რაც დაკავშირებულია პროგრამის პოპულარიზაციასთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს შემოსავლების ზრდას. ○ გაძლიერდეს მარკეტინგული თუ ცნობადობის ასამაღლებელი სხვა ღონისძიებები, რაც დაკავშირებულია პროგრამის პოპულარიზაციასთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ასევე, ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით. მას გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური სისტემა, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებში. პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე სტუდენტი მონაწილეობას ღებულობს შიდა ხარისხის შეფასებაში ანკეტა/კითხვარების ელექტრონული სახით ანონიმურად შევსებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს დაინტერესებულ მხარეებთან, რისთვისაც ადგენს სხვადასხვა სახის კითხვარებს.

გამოკითხვები ტარდება იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც უნივერსიტეტს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს მემორანდუმები. პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავენ კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტებისა და აკადემიურ საბჭოებს.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს –“დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე”,სადაც დეტალურადაა აღწერილი პროგრამის შეფასების/განვითარების მექანიზმები და კრიტერიუმები. მნიშვნელოვანია, აღნიშნული წესი წარმოადგენდეს მუშა დოკუმენტს და მის შესახებ ინფორმირებული იყოს პროგრამაში ჩართული თითოეული პირი (აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი).

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი თანამშრომლობს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან პროგრამის განვითარების კუთხით, თუმცა ინტერვიუების დროს არ გამოიკვეთა რამდენად უწყვეტ ან თანმიმდევრულ ხასიათს ატარებს ეს თანამშრომლობა ხარისხის მიღწევისა და შენარჩუნების უწყვეტი ციკლის „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ უზრუნველსაყოფად.

ინტერვიუების დროს აღინიშნა სტუდენტების აკადემიური მიღწევების და მათ მიერ სავალდებულო კურსების ათვისების პერიოდული შეფასების საკითხი, თუმცა ვერ მოხდა კონკრეტული მაგალითების მოყვანა იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე. ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ ფაკულტეტზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და აკადემიური პერსონალის ლექციებზე დასწრება სწავლების ხარისხისა და ლექციაზე განხილული საკითხების სილაბუსთან შესაბამისობის დასადგენად. ზემოთ ხსენებულის მსგავსად ვერ მოხდა იმ ცვლილებების დასახელება, რომლებიც ამ ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე განხორციელდა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

ინტერვიუების დროს აღინიშნა სტუდენტების აკადემიური მიღწევების და მათ მიერ

სავალდებულო კურსების ათვისების პერიოდული შეფასების საკითხი, თუმცა ვერ მოხდა კონკრეტული მაგალითების მოყვანა იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე. ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ ფაკულტეტზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და აკადემიური პერსონალის ლექციებზე დასწრება სწავლების ხარისხისა და ლექციაზე განხილული საკითხების სილაბუსთან შესაბამისობის დასადგენად. ზემოთ ხსენებულის მსგავსად ვერ მოხდა იმ ცვლილებების დასახელება, რომლებიც ამ ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე განხორციელდა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

ინტერვიუების დროს ასევე არ გამოიკვეთა თანმიმდევრული მიდგომა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად და ვერ მოხდა საკმარისი მტკიცებულების მოპოვება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამის გაუმჯობესების კუთხით, ეს ეხება როგორც აქტიურ სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები ○ ინტერვიუს შედეგები, ○ პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები: ○ მნიშვნელოვანია ცნობადობის გაზრდა ჩართულ და დაინტერესებულ პირებში არსებული შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმებისა და მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ; ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა პირის და ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულება შიდა ხარისხის შეფასების სისტემურ მექანიზმთან დაკავშირებით (სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები)
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლითაც, უნივერსიტეტმა პერიოდულად უნდა გაიაროს ხარისხის გარე უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე ამას უზრუნველყოფს აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებები.

ხარისხის გარე უზრუნველყოფას, თავისი მრავალფეროვანი ფორმებით, შეუძლია გადაამოწმოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურობა, იმოქმედოს, როგორც გაუმჯობესების კატალიზატორმა და ახალი პერსპექტივები შესთავაზოს დაწესებულებას. ის დაწესებულებასა და საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას გოთუნი-ს საქმიანობის ხარისხის შესახებ. გოთუნი მონაწილეობს ხარისხის პერიოდულ გარე უზრუნველყოფაში, რომელიც ითვალისწინებს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელშიც ის ფუნქციონირებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები „საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით 2018 წლის 05 ოქტომბერს განხორციელებული აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის ვიზიტის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა 2019 წლის 18 იანვრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N5 სხდომის ოქმის საფუძველზე გაკეთებული რეკომენდაციები „საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამა - თვითშეფასების კითხვარი და თანდართლი დოკუმენტაცია - ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: - მნიშვნელოვანია მოხდეს ხარისხის გარე შეფასების მექანიზმების დივერსიფიკაცია (მაგ., კოლეგიალური შეფასება) პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით; - მოხდეს გარე ხარისხის შეფასების შედეგების კომპლექსური ანალიზი და გამოყენება პროგრამის დახვეწის მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში დანერგილია პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. ის ხორციელდება სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგის სამუშაო გეგმისა და საბაკალავრო, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის და განხორციელების შეფასების სისტემის მიხედვით.

შედეგები ანალიზდება და გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაციისათვის. პროგრამა შედეგობრივია, როდესაც იგი პასუხობს ზემოთხსენებული დოკუმენტის დადებით შეფასებას (ძალიან კარგი, კარგი), ხოლო საჭიროებს მოდიფიკაციას, როდესაც შეფასება დამაკმაყოფილებელია ან უარყოფითი.

სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული მხარე, ეს უზრუნველყოფილია სხვადასხვა გამოკითხვის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად და პერიოდულად აწარმოებს სტუდენტთა გამოკითხვას აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესახებ. გამოკითხვის შედეგებს ეცნობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი. პერსონალს ინდივიდუალურ რეჟიმში აცნობენ კვლევის შედეგებს, ასევე, შედეგების მიხედვით თითოეულისთვის გასცემენ რეკომენდაციებს. სტუდენტები კითხვარებით ასევე აფასებენ სასწავლო კურსებს, სასწავლო პროცესსა და საბიბლიოთეკო რესურსებს.

პროგრამის პერიოდული მონიტორინგი აკადემიური ნაწილის მიმართულებით ხდება აკადემიური, მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, მობილობის მაჩვენებელი და სხვა) მიხედვით. დატვირთვის სქემა შემუშავებულია ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება პროგრამის მოდიფიცირების უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები; ○ საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა ○ შეფასებების მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგია ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ○ სტუდენტთა გამოკითხვა; ○ დამსაქმებელთა კვლევა; ○ აკადემიური პერსონალის კვლევა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მიზანშეწონილია დამსაქმებელთა გამოკითხვა გახდეს უფრო კომპლექსური და ატარებდეს რეგულარულ ხასიათს. ○ მიზანშეწონილია თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება/გაუმჯობესებისათვის გაიწეროს კონკრეტული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ უნივერსიტეტში პერმანენტულად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი; ○ სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ხორციელდება პროგრამის შიდა თვითშეფასება; ○ შიდა და გარე თვითშეფასების შედეგების საფუძველზე ხორციელდება ცვლილებები და ხდება პროგრამის მოდერნიზაცია.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:


პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა:


ლელა ბახტაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:

სახელი, გვარი, ხელმოწერა:

ქრისტინე ომაძე



ანი მიხელიძე



